33600000

ხელშეკრულება
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების
შესახებ №02/163
(პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახური)

ქ. თბილისი „ 6 “ „ 04 “ 2011წ.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ – წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ერთი მხრივ, **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი მაკსარაშვილის სახით (შემდგომში - “შემსყიდველი”) და მეორე მხრივ, შპს “ავერსი ფარმა” მისი გენერალური დირექტორის ირაკლი ფურცელაძის სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №200 განკარგულების საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროებისათვის მედიკამენტების შესყიდვა.

3.2. შესასყიდი საქონლის სახე მოცემულია დანართში №1, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **27051.14 (ოცდაშვიდი ათას ორმოცდათერთმეტი ლარი და თოთხმეტი თეთრი) ლარს.**

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

საქონელი მიწოდებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან შემსყიდველის მოთხოვნიდან 4 დღის განმავლობაში დანართ №1-ში განსაზღვრულ მისამართებზე 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. ხარისხი და გარანტია

6.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6.2 მიწოდებულ საქონელზე გარანტია ვრცელდება საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 70%-სა.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2 ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი უფლებამოსილი პირი პირი **გიორგი ფრუიძე –სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქონლით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.**

7.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7.4 თუ ამ მუხლის 7.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება საგარანტიო ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს საგარანტიო ვადის გასვლამდე.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

8.2 საქონლის მიღებას აწარმოებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მხრიდან იმ სასჯელარსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურის უფლებამოსილი პირი, რომელი დაწესებულებისთვისაც განკუთვნილია საქონელი. შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტი გადაეცემა სამინისტროს **სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქონლით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი ფრუიძეს.** რომელიც ხელმოწერით დაადასტურებს აქტის სისწორეს.

9. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

9.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

9.2 ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.

9.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **30 (ოცდაათი) დღის** განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 პუნქტში აღნიშნული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მე-5 მუხლის შესაბამისად.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

11. ფორს-მაჟორი

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ,

11.4 წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

12. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

12.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ **10 (ათი) დღის** ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით მე-16 მუხლის შესაბამისად.

15. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

151. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0,1%-ის** ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

16.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

16.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

17. ხელშეკრულების ენა

17.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

18.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

18.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა მე-6, მე-7 მუხლებისა.

19.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6, მე-7 მუხლები მოქმედებენ 6.2 პუნქტით განსაზღვრული პირობით და ვადით.

20. განსაკუთრებული პირობები

20.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

20.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", სამი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42 სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა № 200122900; ს/კ №204564934	შპს „ავერსი-ფარმა", მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ.148/2 ტელეფონი: 98-78-60 ; 91-02-33 საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №122932100 სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22 სკ 211386695
მინისტრის მოადგილე	გენერალური დირექტორი
გიორგი მაკასარაშვილი	ირაკლი ფურცელაძე

დანართი№1

	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7
1	**სპეცკონტროლი**				**მოთხოვნიდან 4 დღის განმავლობაში**	**მოთხოვნის შესაბამისად**
1	დიაზეპამი 10მგ #20ტ	185	1.77	327.45	"_____"	"_____"
2	ზოლომაქსი 0.5მგ #30ტ	139	5.70	792.3	"_____"	"_____"
3	ციკლოდოლი 0.002გ #40ტ	16	1.48	23.68	"_____"	"_____"
2	**საინფუზიო საშუალებები**					
1	მეტრონიდაზოლი 500მგ/100მლ FRES	79	0.9400	74.26	"_____"	"_____"
2	რეამბერინი 1.5% 400მლ საინფ.ხს	3	22.0000	66	"_____"	"_____"
3	**მოვლის საგნები**					
1	ნიღაბი სამედიცინო #1	530	0.1534	81.302	"_____"	"_____"
1	ორსულობის ტესტი ერთჯერადი	17	0.5900	10.03	"_____"	"_____"
4	**სხვადასხვა მედიკამენტი**					
1	ადაპტოლი-ავერსი 300მგ #20ტ	82	4.86	398.52	"_____"	"_____"
2	ადენო-რიცი #20კაფს	71	7.66	543.86	"_____"	"_____"
3	ამბროქსოლი 30მგ #20ტ (კიევი)	35	1.02	35.7	"_____"	"_____"
4	ალმაგელი-A 170მლ ფლ	44	2.70	118.8	"_____"	"_____"
5	ალოხოლი #50ტ (კიევი)	257	1.78	457.46	"_____"	"_____"
6	ამპისიდი 1.5გ ფლ კუნთის	230	6.00	1380	"_____"	"_____"
7	ამპიცილინი 0.5გ #10კაფს (იმპ)	37	1.65	61.05	"_____"	"_____"
8	ამტასი 5მგ #20ტ	103	2.00	206	"_____"	"_____"
9	ანალგინი 50% 2მლ #10ა (თბ)	18	1.02	18.36	"_____"	"_____"
10	ანაპრილინი 0.01გ #20ტ GMP	30	0.90	27	"_____"	"_____"

11	დურამოქსი(ამოქსაც)0.5გ# 10კაფს	264	1.71	451.44	“_____“	“_____“
12	ამპიოქსი 0.25გ #20კაფს	34	1.47	49.98	“_____“	“_____“
13	ანესთეზოლის #10რექტ.სუპ(ნიუფ.)	131	1.17	153.27	“_____“	“_____“
14	ანუზოლის #10რექტ.სუპოზ.(ნიუფ.)	57	1.51	86.07	“_____“	“_____“
15	აქსენი ფორტე 550მგ #10ტ	55	5.78	317.9	“_____“	“_____“
16	აქტოვეგინი 40მგ/მლ 2მლ #25ა	5	40.92	204.6	“_____“	“_____“
17	აციკლოვირი 2.5% 5გ მალამო	5	2.47	12.35	“_____“	“_____“
18	ბარალგეტასი 5მლ #5ა	48	2.31	110.88	“_____“	“_____“
19	ბეტადინი მალამო 20გ	4	6.08	24.32	“_____“	“_____“
20	ბისაკოდილი 10მგ #10 სუპოზ	25	1.76	44	“_____“	“_____“
21	პესტო 10მგ #100ტ	10	15.00	150	“_____“	“_____“
22	გიდროკორტიზონი 1% 10გ მალ(ნიუფ	14	1.03	14.42	“_____“	“_____“
23	გიოქსიზონის მალამო 10გ (ნიუფ.)	85	1.22	103.7	“_____“	“_____“
24	გლუკოვანსი 5მგ/500მგ #30ტ	59	11.48	677.32	“_____“	“_____“
25	გლუკოტონი 80მგ #40ტ GMP	7	6.00	42	“_____“	“_____“
26	გლუკოტონი MR 30მგ #30ტ GMP	25	4.49	112.25	“_____“	“_____“
27	გუტალაქსი წვეთები7.5მგ/მლ 15მლ	21	5.43	114.03	“_____“	“_____“
28	დეკარისი 150მგ #1ტ	3	3.47	10.41	“_____“	“_____“
29	დერმოვეიტი 0.05% 25გ კრემი	27	5.58	150.66	“_____“	“_____“
30	დეტრალექსი 500მგ #30ტ	32	15.26	488.32	“_____“	“_____“
31	დექსამეტაზონი 0.4% 1მლ #5ა	152	1.27	193.04	“_____“	“_____“
32	დიაკარბი 0.25გ #24ტ	3	5.20	15.6	“_____“	“_____“
33	დიდროფი 0.1% 10მლ ცხ.წვეთები	32	2.08	66.56	“_____“	“_____“
34	დიკლოფენაკი 50მგ #20ტ(ჰემფ)	87	1.19	103.53	“_____“	“_____“

35	დიპროსპანი 1მლ #5ა	3	73.05	219.15	“_____“	“_____“
36	დიცინონი 250მგ/2მლ #10ა	40	3.70	148	“_____“	“_____“
37	დოქსიციკლინი ჰ/ქლ 0.1გ #10კაფს	172	0.72	123.84	“_____“	“_____“
38	ენოზიდი-H 10მგ/25მგ #20ტ	307	2.50	767.5	“_____“	“_____“
39	ენტენორმი #20კაფს	101	4.62	466.62	“_____“	“_____“
40	ერინიტი 0.01გ #50ტ	17	1.25	21.25	“_____“	“_____“
41	ესპუმიზანი 40მგ #25კაფს	12	2.89	34.68	“_____“	“_____“
42	ეფექტი C #10ტ შუშხუნა	99	2.76	273.24	“_____“	“_____“
43	ეფიზოლი #20ტ	194	1.37	265.78	“_____“	“_____“
44	ეფცენ-150 #1კაფს	6	3.50	21	“_____“	“_____“
45	ვალერიანის ექსტრაქტი #50ტ(ბელ)	429	0.28	120.12	“_____“	“_____“
46	ვალერიანის ნაყენი 25მლ(ნტფ)	55	0.46	25.3	“_____“	“_____“
47	ვალოსედი #40ტ	61	3.61	220.21	“_____“	“_____“
48	ვალოსედი 25მლ ფლ (ნეოფ)	57	1.93	110.01	“_____“	“_____“
49	ვენო-რიცი #30ტ	13	11.33	147.29	“_____“	“_____“
50	ვიკასოლი 1% 1მლ #10ა (ოდესა)	19	0.67	12.73	“_____“	“_____“
51	ვიტ B კომპლექსი 2მლ #10ა	9	4.38	39.42	“_____“	“_____“
52	ვიტ B12 500მკგ 1მლ #10ა (თბ)	6	0.59	3.54	“_____“	“_____“
53	იბუპროფენი 0.2გ #50ტ	107	0.75	80.25	“_____“	“_____“
54	იზოდინიტი 10მგ #60ტ	4	0.99	3.96	“_____“	“_____“
55	იმუნო-რიცი #20კაფს	9	5.06	45.54	“_____“	“_____“
56	ინგლისური მარილი 25გ ფხ (თბ)	189	0.24	45.36	“_____“	“_____“
57	ინდომეტაცინი მალ10% 40გ(ბელორ)	93	0.87	80.91	“_____“	“_____“
58	იოდინოლი 100მლ ფლ(თბ)	55	0.49	26.95	“_____“	“_____“
59	იოდის სპირტხსნარი 5% 200მლ(ნტფ	260	4.06	1055.6	“_____“	“_____“
60	კაპტოპრილ(კაპტი)12.5მგ #50ტ	236	2.02	476.72	“_____“	“_____“
61	კარბამაზეპ(კონვურატი)2	108	2.96	319.68	“_____“	“_____“

	00მგ#50ტ					
62	კარდიომაგნილი 150მგ #100ტ	5	7.11	35.55	“----------“	“----------“
63	კაფსიკამი 50გ მალამო	14	5.33	74.62	“----------“	“----------“
64	კბილის წვეთები 25მლ ფლ	15	1.16	17.4	“----------“	“----------“
65	კვადრიცა 10 10მგ #30ტ	64	3.85	246.4	“----------“	“----------“
66	კვამატელი(ფამოტიდინი)#5ფლ+გამხ	3	12.30	36.9	“----------“	“----------“
67	კლოპიდონი 75მგ #10ტ	13	22.23	288.99	“----------“	“----------“
68	ენაპი-HL 20მგ/12.5მგ #20ტ	65	9.02	586.3	“----------“	“----------“
69	კორსიზი #10ტ	439	0.53	232.67	“----------“	“----------“
70	კოფეინი ნ/ბ 0.2გ #10ტ	102	0.96	97.92	“----------“	“----------“
71	ლან-30 #30კაფს	12	16.11	193.32	“----------“	“----------“
72	ლევომიცეტინი ოფ 0.25% 10მლ	111	0.36	39.96	“----------“	“----------“
73	ლერონი 40მგ/5მგ #50ტ	9	5.75	51.75	“----------“	“----------“
74	ლიბექსინი 100მგ #20ტ	57	4.28	243.96	“----------“	“----------“
75	ლორინდენ A მალამო 15გ	42	4.65	195.3	“----------“	“----------“
76	ლორინდენ C მალამო 15გ	7	4.77	33.39	“----------“	“----------“
77	მაალოქსი 800მგ #40ტ	40	4.37	174.8	“----------“	“----------“
78	მაგნიუმის სულფ25% 5მლ #10ა(დარ	30	1.29	38.7		“----------“
79	მანინილი 5მგ #120ტ	6	4.16	24.96	“----------“	“----------“
80	მაქსიტროლი თვ/წვეთები 5მლ	18	5.62	101.16	“----------“	“----------“
81	მერკაზოლილი 5მგ #100ტ	12	1.71	20.52	“----------“	“----------“
82	მუკალტინი 0.05გ #10ტ (უკრ)	1484	0.14	207.76	“----------“	“----------“
83	ნატრიუმის ქლორ0.9% 5მლ#10ა დარ	35	0.93	32.55	“----------“	“----------“
84	ნეურობექსი(B კომპლექსი)#60ტ	175	2.21	386.75	“----------“	“----------“
85	ნიტრომინტი აეროზოლი 10გ	4	5.70	22.8		“----------“
86	ნიტროსორბიდი 0.01გ #40ტ(კიევი)	20	1.10	22	“----------“	“----------“
87	ნიტროქსოლინი 0.05გ #10ტ	165	0.30	49.5	“----------“	“----------“

88	ნო-შპა 40მგ #100ტ	106	4.63	490.78	"_____"	"_____"
89	ნოვო-პასიტი #10ტ	19	4.91	93.29	"_____"	"_____"
90	ნოზეილინი 15მლ თვ/ცხ.წვეთები	15	5.14	77.1	"_____"	"_____"
91	ლუცეტამი 800მგ #30ტ	10	6.04	60.4	"_____"	"_____"
92	ოლიგოვიტი #30დრ	159	3.69	586.71	"_____"	"_____"
93	ომეპრაზოლი 20მგ #50კაფს	641	2.40	1538.4	"_____"	"_____"
94	ოტიპაქსი 16მლ ყურის წვეთები	2	5.15	10.3	"_____"	"_____"
95	ოქსიბრალი 30მგ #20კაფს	6	8.02	48.12	"_____"	"_____"
96	ურიპიმიდი 400მგ #20კ (პალინი)	13	7.80	101.4	"_____"	"_____"
97	პაპაზოლი #10ტ (დარნიცა)	19	0.34	6.46	"_____"	"_____"
98	პერსენი #40ტ	127	3.75	476.25		"_____"
99	პლატიფილინი 0.2% 1მლ#10ა(ბათფ)	90	1.17	105.3	"_____"	"_____"
100	პრესტარიუმი 10მგ #30ტ	6	18.72	112.32	"_____"	"_____"
101	პროზერინი 0.05% 1მლ #10ა (დარნ	12	0.87	10.44	"_____"	"_____"
102	პროქტოგლივენოლი კრემი 30გ	4	12.19	48.76	"_____"	"_____"
103	პროქტოგლივენოლის სანთელი #10	2	12.60	25.2	"_____"	"_____"
104	რაუნატინი 0.002გ #10ტ	222	0.19	42.18	"_____"	"_____"
105	რაფაქოლინი C #30დრ	19	3.45	65.55	"_____"	"_____"
106	რაციოცეფი ავერსი 1გ ფლ	424	1.40	593.6	"_____"	"_____"
107	რელიფი #12 რექტ.სუპოზ	17	8.96	152.32	"_____"	"_____"
108	რელიფი ადვანსი 28.4გ მალ	5	9.66	48.3	"_____"	"_____"
109	რექსეტინი 20მგ #30ტ	13	32.50	422.5	"_____"	"_____"
110	რიბოქსინი 2% 10მლ #10ა (ბათფ)	2	1.38	2.76	"_____"	"_____"
111	სალბუტამოლი 200დ/10მლ აერ.GSK	69	3.63	250.47	"_____"	"_____"
112	სედარექსი 2მგ #30ტ GMP	2	9.00	18	"_____"	"_____"
113	სიორალი რეტარდი 500მგ #20ტ	52	2.26	117.52	"_____"	"_____"

114	სიორალი რეტარდი 850მგ #20ტ	20	2.85	57	"_____"	"_____"
115	სომნა-რიცი #10ტ	64	2.55	163.2	"_____"	"_____"
116	ოპტიმალი 7.5მგ #10ტ	452	2.00	904	"_____"	"_____"
117	სტრეპტოციდი 0.3გ #10ტ	410	0.11	45.1	"_____"	"_____"
118	ტავეგილი 1მგ #20ტ	35	6.26	219.1	"_____"	"_____"
119	ტავეგილი 2მგ/2მლ #5ა	26	7.46	193.96	"_____"	"_____"
120	ტოტემა 10მლ #20ა	2	9.60	19.2	"_____"	"_____"
121	ტრენტალი 0.1გ #60დრ	15	5.14	77.1	"_____"	"_____"
122	ტრენტალი-400 #20ტ	9	6.66	59.94	"_____"	"_____"
123	ტრიმეკორი MR 35მგ #30ტ GMP	29	6.75	195.75	"_____"	"_____"
124	ტრიფტაზინი 5მგ #50ტ	2	1.17	2.34	"_____"	"_____"
125	ტრომბო ACC 100მგ #30ტ	10	3.53	35.3	"_____"	"_____"
126	ფარინგოსეპტი #20 საწ.ტ ლიმონით	15	3.96	59.4	"_____"	"_____"
127	ფეზამი 0.4გ #60კაფს	39	5.89	229.71	"_____"	"_____"
128	სინაფლანის მალ 0.025% 15გ(ნიუფ	20	1.11	22.2	"_____"	"_____"
129	ფტალაზოლი 0.5გ #10ტ (დარნიცა)	49	0.42	20.58	"_____"	"_____"
130	ფურაგინი 0.05გ #30ტ	49	1.98	97.02	"_____"	"_____"
131	ფურადონინი 0.05გ #10ტ (ბელ)	290	0.08	23.2	"_____"	"_____"
132	ფუროსემიდი 40მგ #50ტ (ბელორუს)	11	0.51	5.61	"_____"	"_____"
133	ქაფურის სპირტი 10% 40მლ ფლ	5	0.70	3.5	"_____"	"_____"
134	ცენტროვიტი #30ტ +	56	5.87	328.72	"_____"	"_____"
134	ცერებროლიზინი 1მლ #10ა	9	29.25	263.25	"_____"	"_____"
136	ცეტეკი 10მგ #20ტ	132	3.60	475.2	"_____"	"_____"
137	ცინარიზინი 25მგ #50ტ (სოფარმა)	21	0.30	6.3	"_____"	"_____"
138	ციპროფლოქს(ცეფლოქსი) 500მგ#50ტ	218	4.20	915.6	"_____"	"_____"
139	წყალბადის ზეჟანგი 3% 100მლ ფლ	87	0.48	41.76	"_____"	"_____"

140	ჰემოროლი #12სუპოზ.	39	3.94	153.66	“----------“	“----------“
			სულ:	27051.14 ლარი		

„შემსყიდველი“
საქართველოს სასჯელაღსრულების,
პრობაციისა და იურიდიული დახმარების
საკითხთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ.
№42
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900; ს/კ №204564934

მინისტრის მოადგილე
გიორგი მაკასარაშვილი

„მიმწოდებელი“
შპს „ავერსი ფარმა“,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის
გამზ.148/2
ტელეფონი: 98-78-60 ; 91-02-33
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №122932100
სს „საქართველოს ბანკი“,
კოდი: **BAGAGE22**
სკ 211386695

გენერალური დირექტორი
ირაკლი ფურცელაძე

დანართი№1

1. №1 დაწესებულება /ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 85/ - პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის **შერეული ტიპის დაწესებულება**
2. №2 დაწესებულება /ქ. ქუთაისი, ხარეზავას ქ. N 85/ - პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის **შერეული ტიპის დაწესებულება** -
3. №3 დაწესებულება /დაბა ხელვაჩაური, ურეხის დასახლება/ - პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის **შერეული ტიპის დაწესებულება** -
4. №4 დაწესებულება /ქ. ზუგდიდი, ც. დადიანის ქ. N 9/ - პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის **შერეული ტიპის დაწესებულება** -
5. №5 დაწესებულება /გარდაბრის მუნიციპალიტეტი, სოფ. მთისძირი/ - ქალთა პატიმრობისა და ნახევრად ღია თავისუფლების აღკვეთის **შერეული ტიპის დაწესებულება** -
6. №6 დაწესებულება - /გარდაბრის მუნიციპალიტეტი, სოფ. მთისძირი/ - პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის **შერეული ტიპის დაწესებულება**
7. №7 დაწესებულება /ქ. თბილისი, გულუას ქ. N 31/ - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის **შერეული ტიპის დაწესებულება** -
8. №8 დაწესებულება /ქ. თბილისი, გლდანის მე–7 მ/რ მე–2კმ/- პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის **შერეული ტიპის დაწესებულება** -
9. №9 დაწესებულება ქ. თბილისი, აბუსერიძე–ტბელის N 11/
10. №10 დაწესებულება /ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი N 17/ - ნახევრად ღია ტიპის **თავისუფლების აღკვეთის** დაწესებულება
11. №11 დაწესებულება /ქ. თბილისი, გრ.ხანძთელის ქ.N 33/ - არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება
12. №12 დაწესებულება /ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 77/ - ნახევრად ღია ტიპის **თავისუფლების აღკვეთის** **დაწესებულება**
13. №13 დაწესებულება /ხონის მუნიციპალიტეტი, ჩაის მეურნეობა/ - ნახევრად ღია ტიპის **თავისუფლების აღკვეთის** დაწესებულება
14. №14 დაწესებულება /ქ. წყალტუბო, სოფელი გეგუთი ვარციხის დასახლება/ - ნახევრად ღია ტიპის **თავისუფლების აღკვეთის** დაწესებულება
15. №15 დაწესებულება /მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი/ - ნახევრად ღია და დახურული ტიპის **თავისუფლების აღკვეთის** დაწესებულება
16. №16 დაწესებულება /ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. N 60/ - ნახევრად ღია და დახურული ტიპის **თავისუფლების აღკვეთის** დაწესებულება -
17. №17 დაწესებულება /ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. N 64/ - ნახევრად ღია და დახურული ტიპის **თავისუფლების აღკვეთის** დაწესებულება -
18. №18 დაწესებულება /ქ. თბილისი, გლდანის მე–7 მ/რ მე–2 კმ/ - მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება
19. 19 დაწესებულება - /მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი/ ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება -

„შემსყიდველი“
საქართველოს სასჯელაღსრულების,
პრობაციისა და იურიდიული დახმარების
საკითხთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ.
№42
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900; ს/კ №204564934

მინისტრის მოადგილე
გიორგი მაკასარაშვილი

„მიმწოდებელი“
შპს „ავერსი ფარმა“,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის
გამზ.148/2
ტელეფონი: 98-78-60 ; 91-02-33
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №122932100
სს „საქართველოს ბანკი“,
კოდი: **BAGAGE22**
სკ 211386695

გენერალური დირექტორი
ირაკლი ფურცელაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვიზირებულია:

2011 წელი 6.04

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 4 პუნქტის თანახმად საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ №2/ 163 ხელშეკრულებით (გამარტივებული შესყიდვა) განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მინისტრის მოადგილე _____ გ. მაკასარაშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ ა. ჯებისაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ---------- გ. გორაძე

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი_____ დ.ასათიანი

შესყიდვების სამმართველოს უფროსი _____ ლ.მალაკელიძე

საბუღალტრო სამმართველოს უფროსი _____ ე.ალიმბარაშვილი

სამედიცინო საქონლით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ---------- **გ.ფრუიძე**

სამმართველოს უფროსი

2011 წლის 6 აპრილის №02/163 ხელშეკრულებასთან

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა №1

ქ.თბილისი

2011 წლის 16 მაისი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის. №42 ტელ: 31-27-39, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204564934), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი მაკასარაშვილის სახით და შპს „ავერსი-ფარმა" (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ.148/2, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №122932100, სს „საქართველოს ბანკი, კოდი: 220101502, ს/კ-211386695), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად" მისი გენერალური დირექტორის ირაკლი ფურცელაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროსა და შპს „ავერსი- ფარმა" -ს შორის 2011 წლის 6 აპრილს გაფორმებული №02/163 ხელშეკრულების პირობების მე-16 მუხლის საფუძველზე შევთანხმდით ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების განხორციელებაზე:

1. დანართ №1 ში აღნიშნული მედიკამენტების რაოდენობები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

№42 ეფექტი C №10 შუშხუნა შემცირდეს 6 კოლოფით და გახდეს 93 კოლოფი.
№59 იოდის სპირტხსნარი 5% 200 მლ შემცირდეს 234 კოლოფით და გახდეს 26 კოლოფი.
№82 მუკალტინი შემცირდეს 10 კოლოფით და გახდეს 1474 კოლოფი.
შესაბამისად,

№116 ოპტიმალი 7.5მგ №10 გაიზარდოს 484 კოლოფით და გახდეს 936 კოლოფი.

ხელშეკრულების ღირებულება დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.
3. .წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2011 წლის 6 აპრილს გაფორმებული №02/163 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი მაკასარაშვილის სახით, მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42 სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა № 200122900; ს/კ №204564934	შპს „ავერსი-ფარმა" წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ირაკლი ფურცელაძის სახით (მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ.148/2, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №122932100, სს „საქართველოს ბანკი, კოდი: 220101502, ს/კ-211386695),